ბრიტანული ცენტრი
BRITISH CENTRE

მომსახურების პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ბრიტანული ცენტრის მიერ სრულწლოვანი ფიზიკური პირისათვის (შემდგომში - მსმენელი/დამკვეთი) მომსახურების გაწევის ძირითად პირობებს. აღნიშნული დოკუმენტი არის ხელშეკრულება, რომლით განსაზღვრულ პირობებსაც ეთანხმება მსმენელი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად შემსრულებელი CALLAN-ის მეთოდით ჩაუტარებს დამკვეთს ინგლისური ენის გაკვეთილებს (შემდგომში მომსახურება), ხოლო დამკვეთი აანაზღაურებს შეთანხმებულ მომსახურების საფასურს.

1.2. მსმენელის/დამკვეთის პირადი მონაცემები განთავსებულია განაცხადში, რომელსაც დამკვეთი ავსებს შემსრულებლის ვებ-გვერდზე განთავსებულ სპეციალურ სარეგისტრაციო გვერდზე. აღნიშნული განაცხადი წარმოადგენს წინამდებარე მომსახურების პირობების/დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. დამკვეთთან გასაუბრების შედეგების მიხედვით ჩარიცხოს დამკვეთი შესაბამის სასწავლო ჯგუფში და მომსახურების მისაღებად შეუქმნას მას ოპტიმალური პირობები. ამასთან, თითოეულ სასწავლო ჯგუფში ჩარიცხულ პირთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს 4 (ოთხი) მსმენელზე ნაკლები და 12 (თორმეტი) მსმენელზე მეტი;

2.1.2. მსმენელის შესაბამის სასწავლო ჯგუფში ჩარიცხვასთან ერთად, შემსრულებელმა მსმენელს გაუხსნას მისი პირადი პროფილი სპეციალურ ონლაინ პლატფორმაზე (TV სკოლა) და მიანიჭოს მას უნიკალური მომხმარებლის სახელი და კოდი, რომლითაც მსმენელი შეძლებს აღნიშნულ ონლაინ პლატფორმაზე შექმნილ მის პირად პროფილზე შესვლას;

2.1.3. შეურჩიოს დამკვეთს მისთვის მაქსიმალურად სასურველი სასწავლო გრაფიკი; ამასთან, სრული სასწავლო კურსი შედგება 12 (თორმეტი) საფეხურისაგან, თითოეული საფეხურის სასწავლო გრაფიკს ადგენს შემსრულებელი;

2.1.4. დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებზე დათანხმებისა და სასწავლო გრაფიკის შედგენის შემდეგ ჩაუტაროს დამკვეთს 6 (ექვსი) საცდელი გაკვეთილი (6 (ექვსი) აკადემიური საათი);

2.1.5. სასწავლო კურსის თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ ჩაუტაროს მსმენელს საფეხურის შემაჯამებელი ტესტირება. მსმენელის მიერ აღნიშნული ტესტირების წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი ჩარიცხოს მსმენელი სასწავლო კურსის მომდევნო საფეხურზე. VIII და XII საფეხურების შემთხვევაში: საფეხურის შემაჯამებელი ტესტირება ჩაბარებულად ჩაითვლება მსმენელის მიერ 70 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში; მსმენელის მიერ 50-დან 70 ქულამდე მიღების შემთხვევაში მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს განმეორებით ტესტირებაში, 50-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში კი მსმენელი კარგავს განმეორებით ტესტირებაზე გასვლის შესაძლებლობას და უფლებამოსილია ხელახლა გაიაროს სასწავლო კურსის წარუმატებლად გავლილი ეტაპი;

2.1.6. დამკვეთის მიერ სასწავლო კურსის მე-8 და მე-12 საფეხურების შემაჯამებელი ტესტირებების წარმატებულად გავლის შემთხვევაში უზრუნველყოს დამკვეთის მიერ შესაბამისი სერტიფიკატის მიღება. ამასთან, მე-8 საფეხურის შემაჯამებელი ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთის მიერ CEFR B1 დონის შესაბამისი სერტიფიკატის მიღებას, ხოლო მე-12 საფეხურის შემაჯამებელი ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში CEFR C1 დონის შესაბამისი სერტიფიკატის მიღებას.

2.1.7. მიიღოს და განიხილოს დამკვეთის საჩივრები;
2.1.8. უზრუნველყოს დამკვეთი სასწავლო პროგრამით განსაზღვრული ლიტერატურით/სახელმძღვანელოებით.
2.2. დამკვეთი ვალდებულია:
2.2.1. სრულად აანაზღაუროს მომსახურების საფასური (მათ შორის საცდელი გაკვეთილების) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
2.2.2. უზრუნველყოს მსმენელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.
2.2.3. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებლის მიერ მომსახურების მიწოდების ტერიტორიაზე დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და ეთიკის ნორმები, არ გამოცხადდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე ალკოჰოლური და/ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, ხელი არ შეუშალოს შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევის პროცესს, არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს ან/და დააგვიანოს გაკვეთილებზე.
2.2.4. თითოეული მსმენელი ვალდებულია შეცვალოს მისთვის შემსრულებლის მიერ მინიჭებული უნიკალური კოდი, რომელსაც იგი იყენებს სპეციალურ ონლაინ პლატფორმაზე შექმნილ მის პირად პროფილზე შესასვლელად. კოდის ცვლილება მსმენელმა უნდა განახორციელოს მისთვის კოდის გადაცემიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, მსმენელი ვალდებულია გაუფრთხილდეს მისთვის მინიჭებულ მომხმარებელსა და კოდს და არ გაუმხილოს იგი მესამე პირს. მსმენელის მიერ მომხმარებლისა და კოდის მესამე პირისთვის გამხელით მისთვის მიყენებულ ზიანზე შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი.

3. მხარეთა უფლებები

3.1. შემსრულებელი უფლებამოსილია:
3.1.1. ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული გაკვეთილები დამკვეთს ჩაუტაროს მის მიერ განსაზღვრულ მომსახურების მიწოდების ადგილას ან/და დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (მათ შორის, სპეციალური ონლაინ პლატფორმის მეშვეობით). ამასთან, გაკვეთილების ჩატარების გზას შემსრულებელი წინასწარ ათანხმებს დამკვეთთან. ამასთან, შემსრულებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს გაკვეთილების ჩატარების დამკვეთთან შეთანხმებული ფორმა ან/და ადგილი;
3.1.2. საჭიროებისამებრ გააუქმოს ან შეაჩეროს სასწავლო ჯგუფები;
3.1.3. მომსახურებაში ჩათვალოს დამკვეთის/მსმენელის მიერ გაცდენილი სასწავლო საათები;
3.1.4. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს შეცვალოს ჯგუფის მასწავლებელი.
3.2. დამკვეთი უფლებამოსილია:
3.2.1. მოსთხოვოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება;
3.2.2. დაწეროს საჩივარი მომსახურებაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში და მოითხოვოს მათი აღმოფხვრა.
3.2.3. მიიღოს მომსახურება შეთანხმებული გრაფიკით - კალენდარულ კვირაში 6 აკადემიური საათი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კვირის განმავლობაში სასწავლო გრაფიკით გათვალისწინებული გაკვეთილის ჩატარების დღე დაემთხვევა უქმე დღეს);
3.2.4. სასწავლო კურსის მე-8 და მე-12 საფეხურების შემაჯამებელი ტესტირებების წარმატებით გავლის შემთხვევაში მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.6 ქვეპუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატები;
3.2.5. შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს შემსრულებლისგან სასწავლო გრაფიკის ან სასწავლო ჯგუფის შეცვლა;

4. მომსახურების საფასური/ანგარიშსწორება

4.1. მომსახურების საფასური ანგარიშდება კალენდარული თვის მდგომარეობით (საცდელი გაკვეთილების ჩათვლით) და შეადგენს ყოველთვიურად 260 (ორას სამოცი) ლარს 1-6 საფეხურის მსმენელთათვის (საბაზისო საფასური). მე-7 საფეხურზე გადასვლასთან ერთად მომსახურების საბაზისო საფასურს ემატება 10 (ათი) ლარი.
4.2. მომსახურების საფასურის გადახდის ვადის ათვლა იწყება პირველი საცდელი გაკვეთილის ჩატარების დღიდან. ამასთან, მომსახურების საფასური მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა სახის გადასახადსა და გადასახდელს.
4.3. მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინასწარ, ყოველი საანგარიშო თვის დასაწყისში. ამასთან, უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში,

ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების საფასურის შემსრულებლის მიერ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

4.4. ხელშეკრულების 8.2.1 პუნქტის საფუძველზე ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი/მსმენელი არ იხდის მისთვის ჩატარებული საცდელი გაკვეთილების საფასურს.

4.4.1. მომსახურების ღირებულებაში ცვლილება:

4.4.1.1. დამკვეთის მიერ სასწავლო პროცესის მე-6 საფეხურიდან მე-7 საფეხურზე გადასვლის შემთხვევაში მომსახურების საფასური ავტომატურად იზრდება 10 ლარის (ათი ლარი 0 თეთრი) ოდენობით;

4.4.1.2. დამკვეთის მიერ სასწავლო საათების შეცვლის შემთხვევაში სწავლის ღირებულება იზრდება ან მცირდება 5 ლარით (ხუთი ლარი 0 თეთრი), კერძოდ: დილის საათებიდან საღამოს საათებზე გადასვლის დროს ღირებულება იზრდება და პირიქით. ამასთან, აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული პირობა ამოქმედდება დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის წერილობითი მიმართვის (განცხადების) საფუძველზე. წინამდებარე ქვეპუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, საღამოს საათებში იგულისხმება დროის პერიოდი 17:00 საათიდან.

4.5. მომსახურების ღირებულებაში შედის სასწავლო ლიტერატურა/სახელმძღვანელოები, ამასთან, დამკვეთს სასწავლო ლიტერატურა/სახელმძღვანელოები მიეწოდება ერთჯერადად და ეტაპობრივად, მის მიერ შესაბამისი სასწავლო საფეხურის გავლის შესაბამისად. დამკვეთისათვის სახელმძღვანელოს ხელმეორედ გაცემის აუცილებლობის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს მასზე ხელმეორედ გაცემული სახელმძღვანელოს ღირებულება.

4.6. მომსახურების ღირებულებაში არ შედის მსმენელზე გასაცემი სერტიფიკატების ღირებულება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თითოეული სერტიფიკატის ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს, რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრება დამკვეთს.

4.7. მხარეთა შეთანხმებით დამკვეთი სასწავლო კურსებზე ჩარიცხვის შემთხვევაში ერთჯერადად იხდის პირველადი რეგისტრაციის საზღაურს 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

4.8. CALLAN-ის მეთოდის ორგანიზაციის ინტერაქტიული ელექტრონული სწავლების პლატფორმის ბაზაში ჩართვის სურვილის შემთხვევაში დამკვეთი წერილობითი განცხადებით მიმართავს შემსრულებელს და ერთჯერადად იხდის ბაზაში რეგისტრაციის საზღაურს 10 (ათი) ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს ბაზაში 1 (ერთი) წლის ვადით რეგისტრაციის საფასურს. ყოველი მომდევნო წლით რეგისტრაციის სურვილის შემთხვევაში, დამკვეთი ყოველ ჯერზე იხდის რეგისტრაციის ზემოაღნიშნულ საფასურს.

4.9. თუ ის გარემოებები, რომლებიც მომსახურების საფასურის განსაზღვრის საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების/ხელმოწერის შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ/ხელს მოაწერდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ/ხელს მოაწერდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, შემსრულებელი უფლებამოსილია მოახდინოს ხელშეკრულების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად მომსახურების საფასურის) მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. მომსახურების საფასურის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და ახალი ფასის გაანგარიშებისას მხედველობაში მიღებული იქნება შეცვლილი გარემოებების ზეგავლენის დონე მომსახურების საფასურზე, ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის დონე, სამომხმარებლო ფასების და სამეწარმეო აქტიურობის ინდექსები და სხვა ფაქტორები. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთისთვის გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე მოახდინოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან (მათ შორის და არამხოლოდ: მოახდინოს მომსახურების საფასურის ცვლილება).

4.10. მომსახურების ღირებულების, ისევე, როგორც რეგისტრაციის ანგარიშში გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა/ფორს-მაჟორი

5.1. დამკვეთი იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად მომსახურების საფასურის გადახდის) დარღვევისათვის გადაუხადოს შემსრულებელს ერთჯერადი პირგასამტეხლო მომსახურების საფასურის მოცულობის 10%-ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) მომსახურების საფასურის მოცულობის 0.5%-ის ოდენობით;

5.2. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ხოლო ზარალის ანაზღაურება მხარეებს არ

ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან). ამასთან, დამკვეთი პასუხისმგებელია შემსრულებლისათვის მის მიერ მიყენებულ ზიანზეც.

5.3. ნებისმიერი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება არ წარმოშობს რაიმე მოთხოვნის უფლებას და არ იქნება მიჩნეული ამ ხელშეკრულების დარღვევად, თუ შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება გამოწვეულია ფორს–მაჟორული გარემოებებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინება ან თავიდან აცილება შეუძლებელია. ასეთი განსაკუთრებული პირობები მოიცავს: წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა ბუნებრივ მოვლენებს, ისევე, როგორც ომს, სამხედრო ოპერაციებს, გაფიცვებს, სახელმწიფოს მიერ მიღებულ აქტებს (მათ შორის და არამხოლოდ პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებულ შეზღუდვებს) და სხვა გარემოებებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6. კომუნიკაცია მხარეთა შორის

6.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან დამკვეთის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

6.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

6.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი);

6.2.2. ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღეს.

6.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

6.4. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართებზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

7. პრეტენზიები და დავები

7.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

7.2. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შემსრულებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

8. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული ხელშეკრულების დანართით, მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია მომსახურების/ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

8.2.1. დამკვეთის მიერ, თუ შემსრულებლის მიერ ჩატარებული საცდელი გაკვეთილების დასრულების შედეგად დამკვეთი გადაწყვეტს ხელშეკრულების შეწყვეტას და აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს შემსრულებელს. ამასთან, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიზეზით ხელშეკრულების ავტომატურ შეწყვეტად ჩაითვლება დამკვეთის გამოუცხადებლობა გრაფიკით განსაზღვრულ მეშვიდე გაკვეთილზე (რომელიც ამავდროულად წარმოადგენს საცდელი გაკვეთილების დასრულების შემდგომ ჩასატარებელ პირველ გაკვეთილს);

8.2.2. დამკვეთის მიერ, ნებისმიერ დროს, შემსრულებლისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე;

8.2.3. შემსრულებლის მიერ, დაუყოვნებლივ, თუკი დამკვეთი დაარღვევს ხელშეკრულების 2.2.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას;

8.2.4. შემსრულებლის მიერ, დაუყოვნებლივ, თუკი დამკვეთი გააცდენს შემსრულებლის მიერ დადგენილი გრაფიკით განსაზღვრულ 5 (ხუთი) გაკვეთილს;

8.2.5. შემსრულებლის მიერ დაუყოვნებლივ, დამკვეთისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, თუკი დამკვეთი დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (მათ შორის მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებას);

8.2.6. შემსრულებლის მიერ დაუყოვნებლივ, თუკი შემსრულებელი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლებლად მიიჩნევს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას;

8.2.7. მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;

8.2.8. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების საფასური მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს/მომსახურების შესაბამისად.

8.4. ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამკვეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

9. ცვლილებები და დამატებები

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება

9.1.1. წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით;

9.1.2. შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, ხელშეკრულების/მომსახურების პირობების შეცვლილი ვარიანტის ვებგვერდზე განთავსების გზით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამგვარი ცვლილებების განხორციელებისათვის საჭირო არ არის დამკვეთის ან/და მსმენელის დამატებითი თანხმობა.

9.2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

10. სხვა პირობები

10.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

10.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

10.3. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

10.4. ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

10.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების დებულებ(ებ)ის არსებობა/არარსებობასთან, მათ შინაარსთან, განმარტებასთან ან/და განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების იმ ვერსიას, რომელიც შემსრულებლის ვებგვერდზე განთავსებულია დავის წარმოშობის მომენტში.

10.6. ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.